

ახალი თაობა



ქოლორის ხეობაში აფხაზი მესაზღვრეები გადაიჩინნენ



გვ.2

2 ივნისიდან
ჯიშს მეთიუ ბარი
პიტერ პენი
დაზოვით

9 ლარი და 90 თეთრი!

ნიგნის ფასი მაღაზიებში 20 ლარი და 90 თეთრია.

ფასი გაზოვითა და პრემია 11 ლარი

ერიკ კინკვილის ფერადი ილუსტრაციებით



პარასკევი, 3 ივნისი, 2016

№130 (7056)

ფასი: 50 თეთრი

ახალი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“



გვ.4

გიორგი მარგველაშვილი: „ქართულ ოცნებაში“ მოძველებიჭო ელემენტები არიან აზუ-ის ელჩი კალაძის გადაყენებას ითხოვს?



„სადაც ბოკერია მიღის, იქ სულ რატომ ტყდება სემა-ტყეპა?!“



კვირიკაშვილი: „გვარამია კასი რომ იყოს, პასუხს გავსებდი“

გვ.2

გვარამია: „ჩემს მამაკაცურ სანყისებზე შემძლია ყველაფერი მოვასხნო“



გვ.3

ნანა დევდარიანი: „ბიძინა ივანიშვილის ჩაურევლად „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მოგება გაუჭირდება“



შალვა შავგულიძე: „პრეზიდენტის ვებო არაფერს ცვლის“



გვ.2

„ის საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზების შესაძლებლობას იძლევა“



გვ.10

ეკა ბესელია: „2004-12 წლებში ნაშეას აღბილი ჰქონდა ყველგან“

„არცერთი ინსტიტუცია საკუთარ მოვალეობას არ ასრულებდა“

სააკაშვილი საქართველოს პოლიტიკაში ბრუნდება?



გვ.4

ოდესის გუბერნატორის გუნდს კონტრაბანდისტებთან გარიგებაში ადანაშაულებენ

„ქალაქის ნასვლით ღარი პოლიტიკური ტყვეობიდან გათავისუფლდა“ გვ.3





შალვა შავგულიძე: „პრეზიდენტის ვეტო არაფერს ცვლის“

„ის საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზების შესაძლებლობას იძლევა“

ნათია სურცილაძე



თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტმა მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის შენიშვნები თავის ვეტოში.

– ბატონო შალვა, უმრავლესობის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონს პრეზიდენტმა ვეტო დაადო. პარლამენტი ამჯერად ემზადება არა მის დასაძლევად, როგორც ეს წინ შემთხვევებში ხდებოდა, არამედ მოტივირებული შენიშვნების გასათვალისწინებლად. როგორ შეაფასებთ ამ კანონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს?

– პარლამენტში როდესაც ეს კანონპროექტი განიხილებოდა, ჩვენ არ ვეთანხმებოდით, რადგან ვფიქრობთ, რომ ის ახდენს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პარალიზებას. „ქართულ ოცნებას“ არ ეიმედება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობას გააკონტროლებს, მაგრამ აქვს სურვილი, საკონსტიტუციო სამართალწარმოება გააკონტროლოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და კანონისა და კონსტიტუციის შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს და არა –

მმართველი ძალის სურვილისას. „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, მიეღო ისეთი კანონი, რომლითაც შეეცდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების ბლოკირებას, რომელიც მისთვის სასურველი არ იქნებოდა. უკვე კანონად არის მიღებული, სადაც მოსამართლეთა უმცირესობის დიქტატია დაწესებული უმრავლესობაზე.

– მაგალითად?
– საკონსტიტუციო სასამართლო სულ 9 მოსამართლისგან შედგება. ორი კოლეგიაა 4-4 მოსამართლის შემადგენლობით, მე-9 წევრი კი თავმჯდომარეა.

რეა. ყველას ერთად ანუ ცხრავე მოსამართლეს პლენუმი ჰქვია.

– რაში მდგომარეობს მოსამართლეთა უმცირესობის დიქტატი უმრავლესობაზე?

– კოლეგიის ერთი წევრი მაინც თუ იტყვის, რომ კოლეგიამ საქმე აიცილოს და განსახილველად პლენუმს გადასცეს, მიუხედავად სამი წევრის სანიშნაოდ დეგრადაციისა, ერთი წევრის ხმა აჯობებს სამი წევრის პოზიციას და საქმე განსახილველად პლენუმს გადაეცემა.

პლენუმი უფლებამოსილია, საქმე განიხილოს, თუ არანაკლებ 7 მოსამართლე იღებს მონაწილეობას, გადაწყვეტილება კი მიღებულია ჩაითვლება, თუ ხმას მისცემს არანაკლებ 6 მოსამართლე. თუ 5 ხმარს უჭერს გადაწყვეტილებას, მაგრამ 2 მოსამართლე წინააღმდეგია, მაშინ 5-ის პოზიციას 2 მოსამართლის პოზიცია აჯობებს და გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება. 2 მოსამართლის პოზიცია პლენუმის პოზიციად გაფორმდება, 5-ის პოზიცია კი – განსხვავებულ აზრად ანუ მოსამართლეთა უმცირესობის აზრი უმრავლესობის აზრზე დომინირებს. ასეთი სასამართლო მსოფლიოში არ არსებობს.

– პრეზიდენტის ვეტო რამდენად არის ადეკვატური, მისი შენიშვნები ამ მუხლებს თუ ეხება?

– ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული არსებითი შენიშვნები სწორედ ამ საკითხებს უკავშირდებოდა.

პრეზიდენტის ვეტო თითქოს ნაწილობრივ რაღაცის გაუმჯობესებას ცდილობს, მაგრამ არსებითად ამ ძირითად მანიკერებებს, რომლებზეც მოგახსენეთ, ტოვებს. ტოვებს შესაძლებლობას, რომ მოსამართლეთა უმცირესობის ხელით მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პარალიზება უმეტეს შემთხვევებში. ეს არ არის გამართლებული, რადგან შესაძლებელია, ამან პროცესი ჩიხში შეიყვანოს, ამიტომ ჩვენ, თავისუფალი დემოკრატების, ალტერნატიული წინადადებები გვქონდა წარდგინდეს.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის შენიშვნები თავის მოტივირებულ შენიშვნებში ასახა.

– პრეზიდენტის შენიშვნების შინაარსი სრულყოფილიად არ ემთხვევა ვენეციის კომისიის შენიშვნებს. რჩება მდგომარეობა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება შეეფერსდეს.

– მაგალითად?

– საპატიო მიზეზით, ავადმყოფობის გამო, მოსამართლეს შეუძლია, 6 თვე ხელი არ მოაწეროს გადაწყვეტილებას. გამოდის, რომ გადაწყვეტილება, რომელიც, ფაქტობრივად, მიღებულია და ველარ შეიცვლება, მიღებულად არ ჩაითვლება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა მოსამართლემ ხელი არ მოაწერა გადაწყვეტილებას, თუნდაც ავადმყოფობის მიზეზით.

მსგავსი შემთხვევა სულ ცოტა ხნის წინ გვექონდა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავა ავად გახდა და გადაწყვეტილების მიღების დაბრკოლება ხდებოდა, იმ გადაწყვეტილების, რომელიც უკვე მიღებული იყო. ვენეციის კომისიის შენიშვნა ამ მომენტსაც ეხება, მაგრამ პრეზიდენტის ვეტო ამ საკითხს საერთოდ არ ეხება.

– ხმას არ მისცემთ პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს?

– არა, ვეტოს ხმას არ მივცემთ, რადგან არსებითად არაფერი იცვლება. საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის შენიშვნებს იზიარებს, ვინაიდან ამ კანონპროექტის მიზანი, რომ მმართველ გუნდს შეეძლოს გადაწყვეტილების ბლოკირება, შენარჩუნებულია.

– არასამთავრობო სექტორი გარიგებაზე მიანიშნებს. შესაძლებელია, მართლაც მოხდეს გარიგება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის?

– არ ვიცი, რამდენად არის სიტყვა „გარიგება“ გამოსაყენებელი ამ შემთხვევაში, მაგრამ გარკვეული კონსულტაციები, აზრთა შეჯერება პრეზიდენტის ინსტიტუტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის არ არის საძრავისი. ცუდად, როდესაც პოზიციების შეჯერება მთავრდება იმით, რომ შემოთავაზებული კანონის ვარიანტი საგრძობლად აუარესებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას.

კვირიკაშვილი: „გვარამია კასი რომ იყოს, პასუხს გავსაძლავ“

გვარამია: „ჩემს მამაკაცურ სანყისებზე შემოიძლია ყველაფერი მოვასხენო“



– კაცი რომ იყოს, პასუხს გავცემდი. მეტს ვერაფერს გეტყვით. ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტების შეკითხვას რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით. გიორგი კვირიკაშვილმა ამ რეპლიკით ნიკა გვარამიას იმ განცხადებას გასცა პასუხი, რომლის მიხედვით, გიორგი კვირიკაშვილი ახალი შემარჯვენების ფრაქციაში ფულით იყო ნაყიდი. თემაზე კომენტარებისას მთავრობის მეთაური მხოლოდ აღნიშნული რეპლიკით შემოიფარგლა.

როგორც კვირიკაშვილმა განაცხადა, გვარამიას განცხადებებზე კომენტარს აღარ გააკეთებს. მოგვიანებით ნიკა გვარამიამ პრემიერს უპასუხა.

– ადამიანები, როდესაც საპასუხო არაფერი აქვთ, შეურაცხყოფაზე გადადიან. პრემიერი დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობებით ისედაც არ გამოირჩეოდა, მაშინ როდესაც იმაში ამხელენ, რაც ნამდვილად სიმართლეა, კერძოდ, უკაცრავად ფარგონისთვის, მაგრამ ჯერ გრეჩისას „შინი“ იყო, ახლა ბიძინა ივანიშვილის „შინია“ – ორივესგან ფულს იღებდა ახლაც და მაშინაც და ორივე შემთხვევაში დანაშაულს ჩადიოდა.

მას საპასუხო არაფერი აქვს და შეურაცხყოფაზე გადადის... მაინტერესებს, რა ინტერესი აქვს ჩემს მამაკაცურ სანყისებთან დაკავშირებით, შემოიძლია, პარამეტრების სიზუსტით ყველაფერი მოვასხენო, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.



კოდორის ხეობაში აფხაზი მესაზღვრეები გადაიჩინნენ

შორენა მარსაგიშვილი

კოდორის ხეობაში, სოფელ ჩხალთაში, აფხაზი მესაზღვრეები ხრამში გადაიჩინნენ. ავარიის მომენტში მანქანაში ექვსი ადამიანი იმყოფებოდა, მათგან 1 დაიღუპა, 5 კი სოხუმის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც მესაზღვრეები მორიგეობიდან ბრუნდებოდნენ. აფხაზეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრ ლევ კვიციანიას განაცხადებით, ავარიის მიზეზები ჯერ დადგენილი არ არის. მიზეზებს აფხაზეთის სამხედრო პროკურატურა სწავლობს. – მომხდარის შესახებ შეტყობინება 21.30 წუთზე შემოვიდა. ჩვენ მაშინვე გავემგზავრეთ სოფელ ჩხალთაში. მანქანა, რომელშიც 6 მესაზღვრე იმყოფებოდა, 10 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადაიჩინა. 5 მათგანი დაშავდა, ტარიელ ლომია კი ადგილზე დაიღუპა, – განუცხადა ჟურნალისტებს კვიციანიამ. მისივე განმარტებით, სამაშველო ოპერაციაში რუსი სამ-



ხედრობებიც მონაწილეობდნენ. სოფელი ჩხალთა სოხუმიდან 50-მდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და იქ დღემდე ცხოვრობენ ქართველები. ამ სოფლიდან არის წარმოშობით კოდორის ხეობაში პრე-

ზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი.

1 ივნისის საღამოს მოხდარი ავარიის შესახებ მან არაფერი იცოდა, თუმცა ამბობს, რომ იქ გზა ძალიან სახიფათოა.

– ახლა რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ეს გზა არის სახიფათო და ყველგან შეიძლება, მანქანა გადავარდეს. მანდ ავარიები ხშირად ხდება, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში კვიციანმა.

მისი თქმით, 2008 წლის შემდეგ ხეობაში საცხოვრებლად ბევრი ქართველი დაბრუნდა.

– ზუსტი რიცხვი არ ვიცი, დაახლოებით ასამდე ოჯახი უნდა იყოს წასული. ხალხი ყველა სოფელშია. ცხოვრობენ ჩვეულებრივად და არანაირი პრობლემა არ აქვთ. აფხაზები მათ ხელს არ უშლიან, – ამბობს ყოფილი რწმუნებული.

მისი თქმით, კოდორში წასვლის შესაძლებლობა სხვებსაც აქვთ. ოღონდ ამისთვის საშუალება საჭირო, საშუალებები კი აფხაზური მხარე გასცემს.

კვიციანის განმარტებით, კოდორში საცხოვრებლად წასულები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადმოდიან და მათ არც აქეთ უქმნის ვინმე პრობლემებს.

ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდონება – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი



აშშ-მ ჩრდილოეთ კორეას ახალი შეზღუდვები დაუწესა

აშშ-მ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალი ღონისძიებები დააწესა, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეას გადაეკეტა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან კავშირები.

ამერიკიდან ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინსა და მის გუნდს ფულის გადარიცხვა ძალიან გაუჭირდება.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობა ცნობილია საეჭვო ფინანსური ოპერაციებით და ამის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია, - ნათქვამია აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.



ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინსა

სროლა კალიფორნიის უნივერსიტეტში

კალიფორნიის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხა.



ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი დაიჭრა.

პოლიციამ უნივერსიტეტის ტერიტორია დაბლოკა. მამაკაცი, რომელმაც სროლა ატეხა, ყოველმხრივ ბლოკირებული აღმოჩნდა. ბოლოს მან თავი მოიკლა.

თურქეთმა რუსეთთან სავაჭრო რეჟიმს გააუმჯობესა

ამერიკიდან სატვირთო მანქანების რუს მძღოლებს თურქეთში მოხვედრა გაუჭირდება. თურქეთმა მათთან სავაჭრო რეჟიმს გააუმჯობესა.



რუსეთმა ჩვენთან სავაჭრო რეჟიმს უფრო ადრე გააუმჯობესა. ჩვენ მხოლოდ საპასუხო ნაბიჯი გადავდგამთ, - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი.

თურქეთის პრეზიდენტი ასევე აღნიშნა რუსების გააქტიურება შავ ზღვაზე და ნატოს მოუწოდა, ამას მაქსიმალურად მკვეთრად დაუპირისპირდეს.

თუკი ნატო დღეს შავ ზღვაზე რუსების გააქტიურებას არაფერს დაუპირისპირებს, ხვალ შავი ზღვისპირა რეგიონში მოსკოვის დომინირება დამყარდება, - თქვა ერდოღანმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბერძანის პარლამენტმა თურქეთის მიერ სომხეთში ბენოციდის აღიარება მოახდინა

თურქეთმა გერმანიიდან ელჩი გაიწვია

გუშინ, 2 მაისს, ბერძანის პარლამენტმა სომხეთს ბენოციდის შესახებ რეზოლუცია მიიღო. ბუნდესტაგმა დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც თურქეთში 1915-16 წლებში განვითარებულ მოვლენებს სომხეთს ბენოციდად აფასებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გადაწყვეტილებას თურქეთის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

ანკარამ გერმანიიდან ელჩი გაიწვია, მანამდე კი თურქეთის პრემიერმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ ბუნდესტაგში დაგეგმილი კენჭისყრა ბერძნისა და ანკარის მეგობრობის ტესტი იქნებოდა და გერმანიელ დეპუტატებს მოუწოდა, „არარაციონალურ“ გადაწყვეტილებებზე უარი ეთქვათ.

ელჩი კონსულტაციების გამართვის მიზნით გაიწვიოთ. ბუნდესტაგმა, მას შემდეგ, რაც რეზოლუციის ტექსტს გავიყნობთ, შესაბამის ზომებს მივიღებთ. ჩვენი ერთი არასდროს ემორჩილებოდა არავის ბრძანებებს, - განაცხადა პრემიერმა.

მან გერმანიის ბუნდესტაგის მიერ სომხეთს ბენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღება დაგმო.

ეს არასწორი გადაწყვეტილებაა. თურქეთი ხალხის წარსული ყველასთვის ცნობილია. ჩვენი ერთი ამავალბან თავისი წარსულიდან არ ვხედავთ.



თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანის თქმით, სომხეთს ბენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღება დიდ გავლენას მოახდენს თურქეთ-გერმანიის ურთიერთობაზე. პირველი ნაბიჯის სახით ვინცე ვთქვით, ბერძნის ბენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანის თქმით, სომხეთს ბენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღება დიდ გავლენას მოახდენს თურქეთ-გერმანიის ურთიერთობაზე. შესაბამისი შეფასების შემდეგ ყველა საჭირო ზომას მივიღებთ, - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

რუსების 71% უკრაინის ოკუპაციის მომხრეა

ლევად-ცენტრის კვლევებით, რუსეთის მოქალაქეთა 70% მთავარ მტრად აშშ-ს მიიჩნევს. რუსების აზრით, სწორედ აშშ-ის ინსპირირებულია როგორც ევრორევოლუცია უკრაინაში, ასევე დონბასის ომიც. შეკითხვაზე, მხარს უჭეროთ თუ არა აშშ-ის მიმართ მაქსიმალურად ხისტი პოლიტიკის გატარებას, მოსახლეობის 66%-მა დადებითი პასუხი გასცა. ხისტ პოლიტიკაში იგულისხმება როგორც ეკონომიკური სანქციები, ისე დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და საპაეო დარტყმები აშშ-სა თუ მის მოკავშირეებზე.

რუსეთის მტრებს შორის მეორე ადგილი უკრაინას ერგო. ასე ფიქრობს რუსეთის მოქალაქეთა 20%. შეკითხვაზე, როგორ უნდა იყოს უკრაინისადმი რუსეთის პოლიტიკა, 71%-მა უპასუხა, რომ უნდა მოხდეს მთელი უკრაინის ოკუპაცია. 12% მიიჩნევს, რომ რუსეთმა უნდა შემოიერთოს როგორც უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონები (ე.წ. ნოვოროსია), აგრეთვე კიევიც. დასავლეთ უკრაინის პოლიტიკური შეერთებას მხარს უჭერს რუსების 78%.



დარღვენი ფიქრობს, რომ უკრაინის დამოუკიდებლობა მისი დასავლეთი რეგიონის უნდა შემოიფარგლოს. რუსეთის მტრებს შორის მესამე ადგილი თურქეთს ერგო. ასე მიიჩნია რუსების 10%-ს. აქედან 70% მიიჩნევს, რომ რუსეთმა უნდა შეიერთოს თურქეთის ის ტერიტორიები, რომლებიც ადრე სომხეთს ეკუთვნოდა და ხელი შეუწყოს ქურთების ავტონომიის შექმნას, რომლის დაფუძველზეც მომავალში ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნება.

წურწუმიანის ოჯახის გვირგვინი ეპოქა

2016 წლის 7 მაისს რუსულ ინტერნეტ-საიტზე დაიდო რუსეთის გენერალური შტაბის მიერ სამამულო ომში დაღუპულ პირთა ცნობარი, რომელიც ვებ-გვერდზე იყო გამოქვეყნებული. ჩვენმა ოჯახმა კი მიიღო წერილი, რომლისთავე გვეუწყებდნენ, რომ ილარიონ პავლეს ძე წურწუმიანის ფაშობთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპა ბელორუსიაში. იგი განისვენებს გომელის ოლქის ვეტკოვსკის რაიონში, სოფელ ბესედში. დაღუპულთა პატივსაცემად ბესედში აღმართულია ობელისკი. ოთხასორმოცდახუთი საფლავის მარმარილოს ლორწონებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია საფლავის ნომრები და დაღუპულთა სია.

მომდინარე წლის 8 მაისს ილარიონ წურწუმიანს შვილიშვილი ჯემალ სერგოს ძე წურწუმიანს გაემგზავრა ბელორუსიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ფაშობებზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. ბელორუსიაში დაღუპული 445 მეომრიდან არის ერთადერთი ქართველი, ნიუტონი ვარსკვლავის ორდენის კავალერი ილარიონ პავლეს ძე წურწუმიანის. მისი საფლავის ნომერია 5375-66. დაღუპულ ჯარისკაცთა იდენტიფიცირება მოხდა 1950 წელს. ძმათა სასაფლაო კი გაიხსნა 1951-ში.


წურწუმიანთა გვარიდან უამრავი ადამიანი შეინიშნა მეორე მსოფლიო ომში, რომელთა შორის არის სსრკ კავშირის გმირი, მფრინავი ალექსანდრე წურწუმიანი, მისი ოთხი ძმა, უფროსი ვაჟი და სხვადასხვა მედლისა და ორდენის კავალერები.

ილარიონ წურწუმიანის ოცდაცამეტი წლის შვილიშვილი, ჯემალ სერგოს ძე წურწუმიანი 1993 წელს გმირულად დაეცა აფხაზეთში. სიკვდილის შემდეგ მას მიანიჭეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი. მის სახელს ატარებს ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩა.

ჯემალის, სულით პოეტ ახალგაზრდა კაცს, მხოლოდ ერთი პოეტური კრებული დარჩა, - „აპოკალიფსის მხედარი“.

ჯემალს თავისი ცხოვრების მოკლე გზაზე ღირსეულად ატარა თავისი წილი ჯვარი და გმირი ბაბუის ვაჟკაცობის სახელი. წურწუმიანებს გენებში მოდგამთ ვაჟკაცობა, გმირობა, ღირსების გრძნობა და სიყვარული სამშობლოსადმი.

ბელორუსია გომელის ოლქი ქალაქი ვეტკი ბოსიდის დასახლება. წურწუმიანი ილარიონი პავლეს ძე ობელისკი 1943 წ. 15 თებერვალი



ასეთი იყო ილარიონ პავლეს ძე წურწუმიანის შვილიშვილის, საქართველოს გმირის, ქრისტეს ასაკის ჯამბულ წურწუმიანის გზა „ლეონიდან გოლგოთამდე, - უფლის სასუფეველამდე“.

ჯამბულის რძემეუშრობი ობლები დაიზარდნენ. დღეს ერთ-ერთი მათგანი, - ჯილდა სამხედრო აკადემიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, როგორც წარჩინებული კურსანტი სპეციალური მედილით დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტისგან.

ჯამბულის ბიჭები - ლაშა, ნუგზარი, თემური, ბაბუს ღირსეულ კვალს მიყვებიან, ხოლო, მისი ძმის ჯემალ წურწუმიანის შვილებიდან ერთი ატარებს გმირი ბაბუს - ილარიონის, ხოლო მეორე გმირი ბიძის - ჯამბულის სახელს...

მთელი ოჯახი აპირებს ბელორუსიაში ჩასვლას და ღირსეული წინაპრის პატივის მიცემას. ექიმი შვილიშვილი ჯენიეტი და ილარიონ წურწუმიანს რძალს - ვალენტინა (ციალა) ჯომიდავა-წურწუმიანი (ბ-ნ სერგოს მეუღლე), რომელმაც ილარიონის ფრონტული ბარათები საფლავში ჩაათანა ილარიონის მეუღლეს, ენკვიან ბელორუსიას, რათა მათაც ეფროვანი პატივი მიაგონ მათთვის ძვირფას ადამიანს.

საფლავებს პატრონობს ვეტკოვსკის რაიონის ხელმძღვანელობა, რაზედაც მეტყველებს გადაღებული ფოტოსურათებით. 9 მაისს გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ილარიონ წურწუმიანის შვილიშვილი, გენერალ-მაიორი ჯემალ წურწუმიანი, რომელმაც საქართველოდან ჩაიტანა ქართული მიწა და ღვინო; ყოველ საფლავთან აანთო წმიდა სანთელი...

აღლუშზე გენერალ-მაიორმა ჯემალ წურწუმიანმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მთელ ბელორუს ხალხს და ბელორუსიის პრეზიდენტს, ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს.

ჯემალ წურწუმიანს თვალცრემლიანმა დატოვა ბელორუსთა მიწა, რომელმაც მშობლიურად მიიბარა სხვადასხვა კუთხისა და ქვეყნის შვილები.

ეს ქმშარიტებაა: გმირები არ კვდებიან, ისინი მარად ცოცხლები არიან!..

მწერლები - წურწუმიანის ოჯახი, ალექო გაბელია



სკანდალი კალატოურთის ფედერაციაში

საქართველოს კალატოურთის ეროვნული ფედერაცია დატოვდა ვიცეპრეზიდენტმა კახა შენგელიამ და გამგეობის წევრმა თემურ დათიკაშვილმა.

ისინი ფედერაციის ბიუჯეტიდან მომავალი კალატოურთელისათვის გამოყოფილი თანხის არამიზნობრივად გაზარდვაში ადანაშაულებენ.

საუბარია ესპანურ კლუბსასკი ბასკონიასა და საქართველოს კალატოურთის ფედერაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც ასალგაზრდა ქართველი კალატოურთელების ესპანეთში მომზადებას ითვალისწინებს.



შენგელია და დათიკაშვილი აცხადებენ რომ უკვე გახარჯულია 1.300.000 ლარი. ორივე მათგანი მოითხოვს უმოკლეს დროში ჩატარდეს რეგარმე ყრილობა და დაინიშნოს საქართველოს კალატოურთის ფედერაციის ახალი სამრეზიდენტო არჩევნები.

შეგახსენებთ, რომ ბასკონიის მთავარ გუნდში თორნიკე შენგელია თამაშობს, ასაკობრივ გუნდებში კი ლუკა ბულაშვილი, ნიკოლოზ დარბაიძე და გიორგი ტურძელაძე ირიცხებიან. თუმცა, როგორც შენგელია და დათიკაშვილი აცხადებენ, დარბაიძე და ტურძელაძე ესპანეთიდან წამოსვლები არიან, ხოლო ბულაშვილს თანხას ოჯახი უხდის (25.000 ევრო), რომლის დოკუმენტაციაც შენგელიას აქვს.

საპორტიმდეას გაგვიანდნო

საქართველოს ნაკრები 14 საფეხურით დაეცა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფიფას რეიტინგში, გასულ თვესთან შედარებით, რეგრესი განიცადა. ვლადიმერ ვაისის გუნდმა 14 ადგილი დათმო და, 2 ივნისის მონაცემებით, 137-ე ადგილამდე დაქვეითდა.

ივნისის განახლებული რეიტინგის მიხედვით, საქართველოს ნაკრები ჩამორჩება ტანზანიის, თურქმენეთის, ბურუნდის, ბაპრინის, მავრიტანიის, ზიმბაბუეს, სვაზილენდისა თუ პალესტინის დონის ნაკრებებს.

ნაკრებს არსებობის ისტორიაში მსოფლიო რეიტინგში ყველაზე ცუდი შედეგი გასული 2015 წლის აგვისტოში ჰქონდა, როცა 154-ე ადგილზე იმოყვებოდა, საუკეთესო კი 1998 წლის თებერვალში - 42-ე ადგილი.

პირველ ადგილს არგენტინა იკავებს, მეორე პოზიციას ბელგია, მესამეზე კი კოლუმბია აინაცვლა. მათ მოჰყვებიან გერმანია, ჩილე, ესპანეთი, ბრაზილია, პორტუგალია და ურუგვაი, ხოლო მე-10 ადგილს ავსტრია იკავებს, რომელიც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეთოქეა.

აქვე გაგაცნობთ რეიტინგის პირველ ათეულსა და მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეთოქეთა ამჟამინდელ მდგომარეობას:

1.არგენტინა - 1532; 2.ბელგია - 1352; 3.კოლუმბია



- 1.337; 4.გერმანია - 1.309; 5.ჩილე - 1.348; 6.ესპანეთი - 1.277; 7.ბრაზილია - 1.251; 8.პორტუგალია - 1.184; 9.ურუგვაი - 1.158; 10.ავსტრია - 1.067;

ავსტრიელთა გარდა, 2018 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეთოქეებს ფიფა/კოკა-კოლას ასეთი პოზიციები უჭირავთ: 26.უელსი (839); 33.ირლანდია (792); 54.სერბეთი (581); 159.მოლდოვა (181).

რანიერი: „არ მიწინაა პარსკვლეპები. ისინი სიმყვაროვნს არღვიან“



ალბათ, არ იქნება უცხო, თუ ვიტყვით, რომ გასული საფეხურით სეზონის უმთავრესი სენსაცია ინგლისის პრემიერლიგაში ლესტერის ჩემპიონობა იყო.

თუმცა ასე არ ფიქრობს „მელიების“ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი, რომელთან ინტერვიუც აპენინურ მედიაში გამოქვეყნდა.

- საჩემპიონო სეზონმა დაგლალათ?
- ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამ ინტერვიუზე სხვას გამოვიშვებდი, თუმცა მაშინ უფრო ვიღებდი, როდესაც არ ვმუშაობ. ერთია, ახლა ვაინტერესებს, რაც გაგაკეთებ - ჩვენ ხომ ინგლისური ფეხბურთის გრანდები უკან ჩამოვიტოვეთ!

- რა გრძობდით, როცა გასულ ზაფხულს ინგლისში სამუშაოდ მიდიოდით?
- უმუშევრობის შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობაში დაბრუნება იმდენად მინდოდა, რომ ბედნიერი ვიყავი. იტალიის სერია ბ-ს კლუბის განვრთნასაც კი სიხარულით დავთანხმდებოდი. პრემიერლიგაში კიდევ ორი გუნდი მინევდა, მაგრამ ბოლოს არჩევენი სხვა მწვრთნელებზე შეაჩერეს. ლესტერში ყველაფერი მიმდინარეობდა სამწვრთნელო შტაბში, სამომავლო გეგმები, კლუბის ბაზა და სტადიონი.

- რა გრძობდა დაგვეფიქრობოთ, როდესაც პრემიერლიგის ჩემპიონობა გამოცხადდა?
- როდესაც ჩელსისა და ტოტენჰემის მატჩი დაიწყო, ცოლს ვუთხარი - არა მგონია, ყველაფერი დღეს გადამყვდეს. სანამ მასპინძლები კუთხურის ჩამოანვიდნენ, ვიფიქრე, რომ ჩელსის გოლის დრო იყო და ასეც მოხდა. შემდეგ მუდღემ მკითხა, რატომ არ ეხმარებოდა ედენ ზარის დაცვას, რაზეც ვუპასუხე, რომ შეტევისთვის ძალას ინახავ-

და. ჩემი ეს ვარაუდი გამართლდა და აზარმა ანგარიში გაათანაბრა.

- სატრანსფერო სეზონი ახლოვდება და როგორია თქვენი გეგმები? მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებთ.

- გასული სეზონის დაწყებამდე კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად პრემიერლიგაში დამკვიდრება დამისახა. ახლა უფროსობას ვუთხარი, რომ საჩემპიონო სეზონი დაივიწყონ, რადგან იმავეს ველარ გავიმეორებთ. ამასთან, გუნდში არ მჭირდება ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც გასახდელში სიმყვაროვნს დაარქვებენ. გვინდა ისეთივე მებრძოლი სულის ფეხბურთელები, როგორებიც ახლა გვყავნან. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენთან თამაშს უკვე ბევრი კლუბი ნატრობს, მაგრამ გპირდებით, ლესტერი მომდევნო სეზონშიც ისევე იბრძოლებს, როგორც წლეულს.

- თქვენი გუნდის ტაქტიკური მხარე როგორ ყალიბდებოდა?

- ჩემს მისვლამდე ლესტერი 3 მცველით თამაშობდა, თანმიმდევრულად 4 მცველზე გადასვლა ვცადათ, მაგრამ სეზონისწინა შეკრებაზე ეს არ გამოგვივიდა და ყველაფერი შეცვალა. თავდაპირველად ვფიქრობდი, გუნდის მთავარი შემტევი ლეონარდო ულოა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ შინჯი ოკაჩაისა და ჯეიმზი ვარდის ტანდემი ვცადე, თუმცა არ უნდა დაგვავნევდეს ნგოლო კანტე, რომელიც უდიდეს სამუშაოს ასრულებდა. არსად მინახავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ერთ მატჩში ამდენს ირბენდა.

- როდის მიხვდით, რომ ჩემპიონობა შეგეძლოთ?
- სიტისთან სტუმრად მოგების შემდეგ.

- შესაძლებელია, რომ იტალიის ჩემპიონატშიც გამოჩნდეს გუნდი, რომელიც ლესტერის წარმატებას აპენინზე გაიმეორებს?

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრანდებს სეზონი ჩაუვარდებათ. პრემიერლიგაში უსუსტად ავს მოხდა.

- როგორ ფიქრობთ, ლესტერის ჩემპიონობა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე უოლოდნელი მოვლენაა?

- არა. უმაღლეს ლიგაში გადასვლიდან ძალიან ძალე ნოტინგემ ფორესტმა პრემიერლიგაც მოიგო და ჩემპიონთა თასიც. იმედია, იმავე შედეგს ჩვენც გავიმეორებთ.

- იტალიაში დაბრუნებას არ აპირებთ? იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე სიამოვნებით გიხილავდათ.

- სიმართლე გითხრათ, თავის დროზე ნაკრებში მუშაობით დაინტერესებული ვიყავი, მაგრამ მხოლოდ საბერძნეთის ეროვნული გუნდი ვიკმაირე. ცხადია, იტალიის ნაკრების შემთხვევაში დაბრუნებაზე ვიფიქრებ.

რეალი ნიეარში ბარსელონას სარეპორლო ფასს სთავაზობს

მადრიდის რეალი და ზინედინ ზიდანის თანამშრომლობის გაგრძელება უკვე გადანიწყევტილია და ფრანგი ლეგენდა რეალს მინიმუმ მომავალ სეზონში განვრთნის.



მეტიც, ზიზუმ შევებულებაზე უარი განაცხადა. ის ყოველდღიურად ივლისსაკუთარ კაბინეტში და სამომავლო გეგმებს დაწყობს.

ამასობაში რეალის პრეზიდენტი ყველა დროის რეკორდის დასამხობად ემზადება.

გავრცელებული ინფორმაციით, ბლანკოსის პრეზიდენტმა ბარსელონას წინადადებით მიმართა და ნიემარს შუამავალი გაუგზავნა.

საქმე ეხება 192 მილიონ ევროს, რომელსაც ბლაუგრანმა მიიღებს, ნიემარს კი ხელფასი 20 მილიონ ევრომდე განესაზღვრება.

ბრაზილიელი ფეხბურთელის პასუხი გერმანული არ იმის.

სამაგიეროდ, ესპანურ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, დავიდ დე ხეას რეალში გადასვლას წინ აღარაფერი უდგას.

ფლორენტინო პერესი კვილორს დიდ პატივს სცემს, მაგრამ ფიქრობს, რომ დე ხეა მშობლიურ ქალაქს უნდა დაუბრუნდეს.

ამის მთავარი მიზეზი ასაკია. დავითი გაცხადებით ახალგაზრდაა, ვიდრე ნავასი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევა-

ში კარის დარაჯის პრობლემა დიდინით გადანიწყდება.

სამუშაო კაბინეტში კი ზიზუ უკვე შეუდგა გასაშვებ ფეხბურთელთა სიის წერას.

წამსვლელთა სიაში არიან ხამეს როდრიგესი, ალვარო არბელა (გადანიწყვტილია), ნაჩო ფერნანდესი, ალვარო მორაბა (გამოსყიდვის შემდეგ დატოვებს კლუბს), ლუკას სილვა და, სავარაუდოდ, მატეო კოვაჩიჩი, თუმცა მის მხოლოდ იჯარით გაშვებაზე მსაუბრობენ.

მათგან ყველაზე მეტად არ გაუმართლა ხამესს. ფრანგმა სპეციალისტმა პერესს მოახსენა, რომ მის გეგმებში როდრიგესი არ შედის, ვინაიდან კოლუმბიელი ფეხბურთელი გუნდის კონცეფციაში ვერ ჯდება.

ზიზუ მოუწოდებს ფლორენტინოს, რომ, მსუყვე შემთავაზების მიღების შემთხვევაში, „ათიანის“ გაშვებაზე უარი არ თქვას და მასში მიღებული თანხა სატრანსფერო პოლიტიკას მოახმაროს.

უფლებები

Table with sports results: 1. IONISნი ივანეტი-ს.კორეა 6:1, 2. რუსეთი-ჩეხეთი 1:2, 3. ესტონეთი-ანდორა 2:0, 4. ნორვეგია-ისლანდია 3:2, 5. ბელგია-ფინეთი 1:1, 6. პოლონეთი-ჰოლანდია 1:2, 7. აზხანაჯუი მაჭრები, 8. მაკედონია-ბელარუსი 1:1, 9. გოგზურთი, 10. როლან გაროსი, 11. აყები, 12. ჯოკოვიჩი-ბაუტისტა აგუტი 3:6, 4:6, 6:1, 7:5, 13. ბერდიხი-ფერერი 6:3, 7:5, 6:3, 14. ტიმი-გრანოლერსი 6:2, 6:7, 6:1, 6:4, 15. გოფინი-გულები 4:6, 6:2, 6:2, 6:3, 16. ვაერინკა-რაბოსი 6:2, 6:1, 7:6, 17. მარეი-გასკე 5:7, 7:6, 6:0, 6:2, 18. ქაუბი, 19. ს.უილიამსი-სვიტოლინი 6:1, 6:1, 20. პუტინცევა-ს.ნავარო 7:5, 7:5, 21. ბერტენსი-კისი 7:6(4), 6:3, 22. ბაშინსკი-გ.უილიამსი 6:2, 6:4, 23. მუგურუსა-როჯერსი 6:5, 6:3, 24. სტოსური-პირონკოვა 6:4, 7:6, 25. შიაშადა მუსეიდ უორუილიანმა

მკარნალოა მამაქაქილთიკის!

სამკარნალო-ლიანოსიკიკარი სანბარ „კალო“ მთავარსოვთ მალახარისხინ და სრულმსოვი მკარნალოას მამაქაქილთიკისა!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, ნეა-ტიკივილი შარდვისას); 2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება); 3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები; 4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ლვიდის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე); 5) ნერვული სისტემის მონესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგესალმებიო მალაკალიოფიციური ექიმები. კონსულტაცია უფასოა! ☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი). მისამართი: აღმანუენბლის 154. „მწვანე ოფისი“.

მოქილავები მსოფლიო თასისთვის დაირაზვნა

11-12 ივნისს ლოს-ანჯელესში (აშშ) თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასის გათამაშება ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას ლას ვეგასის მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის 8 საუკეთესო ნაკრები მიიღებს.

გუნდური პრინციპით დაგეგმილ ტურნირში რევაზ მინდორას მღერ დარიგებულ საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იასპარეზებს, რომელმაც მსოფლიო პირველობაზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

ქართული დელეგაცია ლოს-ანჯელესში 2 ივნისს გამოენისას გაემგზავრა და აშშ-ში ერთკვირიან შეკრებას გაივლის. საპორტილო ნაპრაზის შაგადანლორა ასათიანი:

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ბექა ბუჯიაშვილი (57 კგ), ბექა ლომთაძე (61), ზურაბ იაკობიშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი (65), დავით ტლამაძე (70), იაკობ მაქარაშვილი, ჯუმბერ ყველაშვილი (74), სანდრო ამინაშვილი, დავით მარსაგაშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე, მამუკა კორძია (97), გენო პეტრიასვილი, გიორგი საკანდელიძე, გიორგი მეშვილიშვილი (125).

გეტყვი, რომ კენჭისყრის შედეგად საქართველოს ნაკრებს ჯგუფურ ეტაპზე მეტოქეებად რუსეთი, თურქეთი და მონღოლეთი შევხვდნენ.

ჯგუფი ა: რუსეთი, საქართველო, თურქეთი, მონღოლეთი.
ჯგუფი ბ: აშშ, ირანი, აზერბაიჯანი, ინდოეთი.



მამაქაქილთიკის გაჯანსაღების სენბარი

სქესობრივი უძლეურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდის პრობლემის: სშირი და უნებლო შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, ნევა, ქავილი, ტკივილი, განმარდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომაინისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებულების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის ეკურნალობა, ლვიდის განმინდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნანლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მატრო „დილაბა“, სამთო ქიმიის შინოვა, 1-ლი სართ, კაბ. 6 ☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიაში



სოთბის აუქციონზე ერთი ქართველის ნახატი იყიდა



7 ივნისს ლონდონში დაგეგმილ სოთბის აუქციონზე ქართველი ხელოვანების ნამუშევრები მრავალად იქნება წარმოდგენილი.

აუქციონზე გაყიდვებში მონაწილეობას მიიღებს ფიროსმანისა და ლალო გუდიაშვილის ნახატები. ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კორძაბია კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ 7 ივნისს ლონდონში სოთბის სააუქციონო სახლში 5 ქართველი ხელოვანის ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. მათ შორისაა მერაბ აბრამიშვილის შემოქმედება. მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები სოთბის აუქციონზე შეიქმნა არ იყიდება. მისი „პიანინო“ გასული წლის ბოლოს 25.000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. რამდენიმე წლის წინ კი მისი ნახატი 17.500 ფუნტ სტერლინგად შეიქმნეს. ქეთევან კორძაბია, ხელოვნებათმცოდნე:
– სრულიად საქართვე-

ლოსა და დაინტერესებულებს განსაკუთრებით, გაცნობებით, რომ 7 ივნისს ლონდონში, სოთბის სააუქციონო სახლში, გაიმართება გაყიდვები „თანამედროვე აღმოსავლეთი“. საუბარია ნონ-კონფორმისტულ ხელოვნებაზე ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან, ადრე სოციალური რომ ერქვა. ამ კონტექსტში საქართველოდან 3-6 ივნისს გამოიფინება ორი ქართველი მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი და ავთო ვარაზი. ამ კონტექსტს გარეთ კი გამოიფინება და გაყიდვებში მონაწილეობას მიიღებს ფიროსმანის, გუდიაშვილისა და მერაბ აბრამიშვილის სურათებიც. ყიდვა თუ გინდათ ვინმეს, დროზე დარეგისტრირდით სოთბის ოფიციალურ გვერდზე.

საქართველოში ქველმოქმედებისთვის დიმიტრი პრელა ჩამოვიდა



ცნობილი სერიალის „დამბრუნე ჩემი სიყვარული“ მსახიობი დიმიტრი პრელა საქართველოში ქველმოქმედებისთვის ჩამოვიდა. სტანისლავ ბონდარენკოსა და მაქსიმ ავერინის შემდეგ თბილისს დიმიტრი პრელა ეწვია.

როგორც მსახიობმა განაცხადა, სერიალი, რომელიც საქართველოში ასე მოხიზნო და უყვართ, რუსეთში პოპულარული არ არის. დიმიტრისთვის ცოტა გაუგებარია, რამ გამოიწვია ქართველ გულშემატკივრებში სერიალის ასეთი პოპულარობა.

ბოლიუვილი საქართველოში კიდე ერთ მასშტაბურ ფილმს იღებს



ბოლიუვილი საქართველოში მის ერთ-ერთ მასშტაბურ კინოპროექტზე მუშაობს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბოლიუვილი ფილმის ყველა სცენას საქართველოში გადაიღებს.

პროექტი ინიცირებულია მუმბაიში ინდოეთში საქართველოს საპატიო კონსულის მიერ. ფილმის მწარმოებელი კომპანია ერთ-ერთი პირველი იქნება, რომელიც ქვე რიბეითის სქემით ისარგებლებს. ქვე რიბეითი არის ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემა, რომლის თანახმად, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ფილმის წარმოების ხარჯებიდან შესაძლოა გამოიყოს კვალიფიციური ხარჯი. ამ ხარჯის 20% კი ფილმის მწარმოებელ კომპანიას უკან დაუბრუნდება.

გადაღებები უკვე დაწყებულია. იგი 65 დღის განმავლობაში გაგრძელდება და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს.

ფილმის სცენები გადაიღეს რუსთავესა და ბათუმში, გადაღებების გაგრძელება კი კახეთში, ბაზალეთზე, ბორჯომში, მესტიაში, რაბათის ციხესა და მარტვილში იგეგმება. ახალი ფილმი ბოლიუვილის ყველაზე მასშტაბური კინოპროექტია საქართველოში, რომელზეც რამდენიმე კომპანია ერთობლივად მუშაობს.

მიაშხაძე ეკა არემაშვილი


სნობილება გავრცელების გადასარჩენად პირალი ნივთები გაყიდეს



საზოგადოებისთვის ცნობილმა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ვარსკვლავებმა ბავშვების დასახმარებლად პირალი ნივთები გაყიდეს. მომღერალმა და მსახიობმა ბუბა კიკაბიძემ, მეცოპარანო ნინო სურგულაძემ, მსახიობმა ლეილა აბაშიძემ, მომღერალმა ნინო ქათამაძემ, პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილმა, მსახიობმა სტანისლავ ბონდარენკომ, მხატვარმა რუსუდან ფეტვიანიშვილმა, მსოფლიო ბანკმა პაატა ბურჭულაძემ, მსახიობმა მურატ ილირიძემ, ხელოვანმა ქეთევან სირბილაძემ, დიზაინერმა ვეიდა ციკოლიამ, მხატვარმა სოფია ვარაზმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ, მორაბე მამუკა გორგოძემ, ენბივის ლეგიონერმა ზაზა ფაჩულაძემ, ფესბურთელმა შოთა არველაძემ პირალი ნივთები საქველმოქმედო აუქციონზე გამოიტანეს. მათთვის საყვარელ ნივთებს ისინი პაატაბუბის სიცოცხლის გადასარჩენად შეელოდნენ.

ლაღ დიმიტრი ცინცადის სახელობის ფონდმა გამართა. აუქციონი საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გაიმართა. მსზე დამსწრე საზოგადოებამ ცნობილების ნივთები შეიძინა და თავისი წვლილი შეიტანა დაავადებული პატარების განკურნებაში.

გია ყანჩელის იუბილეისთვის იტალიელმა პიანისტმა ალბომი ჩანერა



ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით იტალიელმა პიანისტმა ალესანდრო სტელამ სპეციალური ალბომი ჩანერა.

გადაცემაში ალესანდრო სტელა შეასრულებს გია ყანჩელის მინიატურასა და პრატისა და ვასკის ნაწარმოებებს. გია ყანჩელის 80 წლის იუბილემ მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში 2016 წელს არაერთი კონცერტი გაიმართა. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება დაგეგმილი, რომელიც გია ყანჩელის შემოქმედებას სულ სხვა კუთხით გააცნობს მის ერთგულ მსმენელს.

ტორო გადაცემაა, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყოველ პარასკევს საღამოს ცოცხალ მუსიკას ეძღვნება.

ქეთი ფარესაშვილი: „იხარება და იხარება არ მათხოვინებთ საქმეს“



მომღერალი ქეთი ფარესაშვილი წლებია თავისი საქმის ერთგულია და, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, მის აღმტებულება მუსიკას ემსახურება.

ქეთი ფარესაშვილი: – მე ზუსტად იმავე „ნაიპში“ ვარ, როგორც ციკია ნინა ხელისუფლების დროს, ისევე იხარება ხელი და ისევე არ მათხოვინებთ საქმეს, მხოლოდ ახლა ირიბად მეუბნებიან და მაშინ პირდაპირ მეუბნებოდნენ ამას. საქმით იგივეა, რადგან ყველა ინსტანციაში, სადაც მივდი, ისევე იგივე სალბი კურიერებს ყველაფერს... ტელევიზიებშიც იგივე ხდება ჩემთან დაკავშირებით, რაც მაშინ ამის წინა ხელისუფლებისას. ერთი სხვაობაა მხოლოდ, თვითონ ცოტა მეტად ვაქტიურობ.

„აპირანსი“ ახალი ქართული ფილმის პრემიერა გაიმართება

„აპირანსი“ – ასე ეწოდება ახალ ქართულ დოკუმენტურ ფილმს, რომლის პრემიერაც 3 ივნისს კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება.

კონიერების გამო მოხდენს. გადაღებული მასალა მთელი სიცხადით ასახავს დღევანდელ რეალობას, რომლის სიუჟეტც საქართველოს დანდასვტების ფონზე იშლებს.

სახალხო მკურნალი ლამარბ თოღუა მოგიჩინებთ სახის კანის გამოწვევების უმეტესობას და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

მკურნალი: 1. სებორეა; 2. გამაგრება; 3. დამწვრობა; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტი; 6. თმის ცვენა, თუნდაც ბუდობრივ; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცენტდროით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტი, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტობათიას, მკერდის გამაგრება; 14. გამაგრებულ ნანემსარსს; 15. ნაწილებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვსხნი მეჭყვებეს; 17. განკურნავს ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი ნამლები. მსურს დაგესმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "განმარტავს" 12.30 დ/ფ დიდებული სასახლეები 13.00 ტ/სერ. "ნანანო ვინაინი" 14.05 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას სოციალური ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდიანი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "გონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ჰესლი" 19.00 "ტელელოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 "პროექტი ზღვარზე ტელელოგი" 21.50 "ვარსკვლავი" ამხანაგური მატჩი: რამინაიძე – სპაირთაქლი. (პირდაპირ ტრ/ბუქარესტიდან) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "სრულიად დაშავებული" 08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოგრაფიკი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "სუფრაისტი" 14.00, 16.00 დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური სამსახური" 17.00 "პოლიტაქტინატორი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 კორიტი 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "განმარტავს" 11.20 სერ. "დასრულებული საქმეები" 12.30 დ/ფ "სუფრაისტი" 13.00, 19.03 სერ. "პირდაპირი" 20.55 სერ. "გონომეტრი" 22.00 პოლიტიკა 23.30 სერ. "ვინაინი" 7 სერ. 00.40 მხ/ფ "დინამიტი" 02.35 მხ/ფ "სხვისი პირი" 03.55 მხ/ფ "განიმარტავს: მიწის უმარტავი" 06.30 სერ. "დაპირაპირი გაგონება" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილაშეიქმედების საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინამიტი" 12.30, 14.05 "სუფრაისტი" 15.55 სერ. "პირდაპირი" ახალგაზრდობა 16.55 სერ. "ინფორმაცია" 18.45 სერ. "ჰესლი" 19.45, 20.05 სერ. "განიმარტავს" 20.50 ლიტო 22.00 ვინის შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "განიმარტავს" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დამატება

08.00 სერ. "პირდაპირი გაგონება" 8.00 სერ. "პირდაპირი გაგონება" 9.00, 19.30 სერ. "განიმარტავს" 10.00, 18.30 სერ. "პირდაპირი გაგონება" 11.00 სერ. "განიმარტავს" 13.00 სერ. "სუფრაისტი" 15.00 სერ. "ინფორმაცია" 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30, 20.30, 22.30 სერ. "საქართველოში რა ხდება?" 10 23.40 სერ. "განიმარტავს" 04.00 მხ/ფ 2.30 URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირი-აკე 07.20 დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთავიდი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახალხო 10.35 ლექციები მეფე-სტეფანეზე 11.25 მოკ.მხ/ფ. "პირდაპირი" 12.10 პორტრეტები 13.15 სერ. "ინფორმაცია" 13.30 "სუფრაისტი" ეთნოლოგიკური 14.30 დეკორატიული ფორმა "პირდაპირი" სანკრატი ტრი-ქოლოგი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დილის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" 2 15.40 კონცერტი 17.15 მიწათმოქმედის "სურულაშვილის მონასტერი" 17.30 ჩვენი საგანძობი 18.10 განათლების სტუმარი 18.40 ძველი აღმოსავლეთის განმარტავსი 19.20 მხ/ფ "მოამბე" 3 სერ. 20.40 ძველი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მომღერალთან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 მეზავრები წუთისოფლის 01.00 "სუფრაისტი" ეთნოლოგიკური 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუცი" (ესტრადული) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "განიმარტავს" 11.05 სერ. "სივარდის იმპირია" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 01.00 "ზინეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 2.30 სერ. "მთავარი ანგა-ლოგი" 15.00 კონტაქტი სამზე 16.05, 17.05, 2.30 სერ. "პირდაპირი გაგონება" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალბატონი" 20.00 "კონტაქტი რეაზე" 20.45 სერ. "მთავარი დინამიტი" 21.30 თოქ-შოუ "მასტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "სუფრაისტი" 23.30 მხ/ფ "ინფორმაცია"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliataba

ქართული ლარის მიმართ უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი

3 ივნისისთვის



აშშ დოლარი — 2.1418



ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.097



ევრო — 2.3898



100 რუსული რუბლი — 3.2011



2 ივნისიდან

ჯიშის მეთიუ ბარი „პიტერ პენი“

ფერადი ილუსტრირებული გამოცემა
ილუსტრატორი ერიკ კინკედი

დაზოგადო 9 ლარი და 90 თეთრი!

2 ივნისიდან ჯიშის მეთიუ ბარის „პიტერ პენი“ იყიდება გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად **11 ლარად**. წიგნის ფასი მაღაზიებში **20 ლარი და 90 თეთრი**. შეიძინეთ „პიტერ პენი“ გაზეთთან ერთად და **დაზოგადო 9 ლარი და 90 თეთრი!**

დანი ალვენსის იუვენტუსში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი აგბავია

ბარსელონის ბრაზილიელი მცველი დანი ალვესი კატალონიურ გუნდს ტოვებს. ეს ინფორმაცია თვითონ ბარსელონამ დაადასტურა. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნერია, რომ ალვესმა წასვლა გადაწყვიტა და ბარსელონა ამ გადაწყვეტილებას პატივს სცემს. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ბრაზილიელი ფეხბურთელი, მაგრამ, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, ის უკვე თითქმის შეუთანხმდა იუვენტუსს და მალე ტურიულ გუნდთან სამწლიან კონტრაქტსაც მოაწერს ხელს. ალვესი ბარსელონაში 2008 წელს სევილიიდან გადავიდა და კატალონიურ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, მათ შორის სამჯერ ჩემპიონთა ლიგა და ექვსჯერ – ესპანეთის ჩემპიონატი.

მესი ესპანეთში სასაპარტოლო გემოსხადდა

მსოფლიოს 5-გზის საუკეთესო ფეხბურთელ ლიონელ მესის გადასახადების დამალვას სდებენ ბრალად და მას ესპანეთში სასამართლოზეც მოუხდა მისვლა. ლეოსა და მის მამას, ხორხეს, ესპანელი პროკურორები 4 მილიონი ევროს დამალვას ედავებიან, თუმცა ფეხბურთელი ყველა ამ ბრალდებას უარყოფს. მესის თქმით, მისი საქმე ფეხბურთის თამაშია და ყველა იურიდიულ საკითხს მამამისი აგვარებს. ხორხე მესი, თავის მხრივ, ამბობს, რომ მისი მხრიდან კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. პროკურორები ხორხესთვის 2-წლიან სასჯელს ითხოვენ და ჯერჯერობით უცნობია, როგორ გაგრძელდება ეს საქმე. რაც შეეხება მესის, ის უახლოეს დღეებში აშშ-ში გაფრინდება, სადაც არგენტინის ნაკრები კოპა ამერიკაზე მიიღებს მონაწილეობას. **მთაფზადა ბექა გოგინაშვილი**

იემოხი

ერთი მეზობელი მეორეს მიმართავს: — მიხო, შე ვირიშვილი შენა.. — რას ამბობ, შენ ხომ გაფრენილ ხოხობს გავარდი, აი! — პინცეტი! — 100 გრამი სპირტი! — აცხონოს მისი სული ღმერთმა! — ბავშვი მაღაზიაში გამყიდველს ფულს აწვდის და ეუბნება: — ხის წებო მომეცი. — რა, მამაშენმა ისევ თავი გაიტება? — მეზობელი დაინახავს, რომ ვალოდა ხეზე ფეხებითაა ჩამოკიდებული და ეკითხება: — რას აკეთებ? — თავს ვიკლავ, სენი წილიმე. — მერე მასე თავის მოკვლა ვის გაუგია? ბანარში ფეხები კი არა, თავი უნდა გაყო. — სენი წილიმე, თავს ველ ვყოფ, სული მესუთება. — ახლობელთან სტუმრად მისულ კაცს, მასპინძლის ძალი ეცა და ფეხზე უკბინა. გამოვარდა მასპინძელი და ეკითხება: — უიმე, ბატონო, შარვალი ხომ არ გაგხიათ? — არა, ამიკაპინა და ისე მიკბინა! — უცოლო მამაკაცს ნათესავი ეუბნება: — უკვე სამოცი წლის ხარ, მაგრამ ჭკუა მაინც არ გაქვს. — ვითომ რატომ? — იმის მაგივრად, რომ თავმდაბალ ორმოცდაათი წლის ქალზე დაქორწინდე, თვრამეტი წლის გოგონას ცოლად მოყვანა გსურს. — მერე რა? — ეს ხომ ნამდვილი თვითმკვლელობაა! — შენ რა გესმის! მირჩევნია, კარგად ალესილმა ფოლადმა მომკლას, ვიდრე უნდა ვიხიან, დაწლებულმა ხერხმა. — ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება: — ჩემმა ცოლმა ბევრი სოკო მოკრიფა, დაამწილა, ქილებში მოხუჭა და ნათესავებს გაუზავანა! — რაო მერე ნათესავებმა, მოეწონათ? — ნათესავები არ მყავს! **მთაფზადა კახა ხატიაშვილი**

ეპიკური ჰეროდის ფინანსური პრაქტიკები

მსახიობ ეპიკური ჰეროდის იურისტებმა, რომლებმაც მისი მსახიობ ჯონი დეპთან განქორწინების მოთხოვნის განცხადება შეიტანეს სასამართლოში, მათი კლიენტის მოთხოვნების სია წარმოადგინეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰეროდის მოთხოვნა მისთვის ყოველთვიურად ალიმენტის სახით 50 ათასი დოლარის გადახდა და იურისტებთან განეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მისი განქორწინების პროცესით არიან დაკავებული (რაც 125 ათას დოლარს შეადგენს). ასევე ჰეროდამ მოითხოვა დეპის კუთვნილებაში არსებული პენტაგონის ოფის-ანჯელის და რენჯ-როვერის მარკის ავტომობილი. ეპიკური ასევე სურს, მათ საერთო ძალზე მზრუნველობა მხოლოდ მის ხელში გარდაეცვალოს, იორკში-რულ ტერიტორია და პისტოლზე. ჯერჯერობით ჰეროდამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ დროებით აპარტამენტში იცხოვროს, თუმცა ალსანიშნავია, რომ დეპთან მისი განქორწინების საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულია. **მთაფზადა კახა ხატიაშვილი**

პრინსმა პარიზ კანადელ მოდელთან ერთად ფოტოგრაფი შექმნა

ბრიტანეთის პრინცმა პარიზ კანადელი მოდელის ვინი ჰარლოუს სურათისგან ფოტოგრაფი შექმნა. კადრი, რომელზეც გოგონა მის აგენტთან ერთადაა ასახული, კანადელმა მანეკენმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. — როდესაც ცდილობ, სერიოზულად ილაპარაკო, მაგრამ შენი აგენტი და პრინცი პარიზ ასეთ განწყობაზე სულაც არ არიან, — დანერა კომენტარში პარლოუმ. ალნიშნულმა ფოტოსურათმა 23 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. მოგვიანებით კანადელმა მოდელმა სხვა ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც ასახულია, რომ პრინცი პარიზ შეტრიალებულია და სახის სერიოზული გამომეტყველება აქვს მიღებული. ასევე კადრში გამოჩნდა პრინცი უილიამი, რომელიც მეზობელ მაგიდასთან იჯდა. ვინი ჰარლოუ რეალითი-შოუს „ტოპმოდელი ამერიკულად“ ყოფილი მონაწილეა. ის ციტილივით — კანის პიგმენტაციის დარღვევითაა დაავადებული. რომელი რესტორანში იქნა გადაღებული ფოტოები, უცნობია. **მთაფზადა კახა ხატიაშვილი**

მანჩესტერ სიტის ბუნდოვანი იყო

მანჩესტერ სიტის ზაფხულის პირველი ტრანსფერი განახორციელა. მანჩესტერელმა დორტმუნდის ბორუსის თურქული ნარმოშობის გერმანელი ნახევარმცველი ილკაი გუნდოგანი იყიდა. გუნდოგანმა დორტმუნდში სუთი წელიწადი გაატარა და ამ პერიოდში ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ამიტომაც მოხდა ის მანჩესტერ სიტის ინტერესის სფეროში. გვარდიოლას ხელმძღვანელობით ეს მანჩესტერ სიტის პირველი ტრანსფერია. გუნდოგანმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია სიტის დადგენილებით და მის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. ამჟამად გერმანელი ნახევარმცველი ტრავმირებულია და მოედანს, სავარაუდოდ, სექტემბერში დაუბრუნდება. **მთაფზადა ბექა გოგინაშვილი**

ახსოვთხი

შეუღალა: 1. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 2. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 3. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 4. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 5. ალორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 10. გულის კუნთოვანი კედელი; 11. რაიონული ცენტრი ჯავახეთში; 12. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 15. ნახატის ან წარწერის ამოკვეთა ხეზე, ქვაზე, ლითონზე; 16. ნაკურთხი წყალი; 17. ბეთპოვერის ოპერა; 20. იაპონიის ძველი დედაქალაქი. **თარაზულად:** 6. ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ; 7. ძალიან ლამაზი ბალი; 8. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შემსწავლელი მეცნიერი; 9. რომელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი; 13. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 14. ღვინით ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში; 18. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი; 19. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 21. ვაშლის ღვინო; 22. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 24. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა — მოშვება. **შეადგინა თ.კობალიაშვილი**

ახსოვთხი

1	2	3	4	5
6				7
8				
9				10
		11	12	
13				
	14			15
		16		
			18	
				20
				21
22				
23			24	